“არარატი” ყველაფრით სჯობდა

ერევანი. რესპუბლიკური სტადიონი. 20 ივლისი.

“არარატი” (ერევანი) _ “დინამო” (თბილისი) _ 3:0 (1:0).

“არარატი”: რაზინსკი (დემერჩიანი), ავანესოვი, აბრამიანი, კოვალენკო, მესროპიანი, მელქონიანი, ბონდარენკო, იშტოიანი, კაზანჩიანი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშელი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია (კუტივაძე), ლ. ნოდია.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

თბილისის დინამოელთა ჩამოსვლა მუდამ დიდი მოვლენაა ერევნელი ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის. ორი მომმე რესპუბლიკის საუკეთესო გუნდების შეხვედრა აქაური სპორტული წრეების ყურადღების ცენტრში დგას.

ასე იყო ახლაც. თანაც, მატჩმა დიდი კმაყოფილება მოუტანა “არარატის” გულშემატკივრებს, რომლებსაც კარგა ხანია არ უნახავთ თავიანთი გუნდის ასეთი შესანიშნავი თამაში. ერევნელები თითქმის ყველაფრით სჯობდნენ მოწინააღმდეგეს: გაშლილი, კომბინაციური მოქმედებით, სისწრაფით, მონდომებით, საერთო ტონუსით, თითოეული მოთამაშის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობით.

მთელი მატჩის მანძილზე დინამოელებმა სულ ორ-სამჯერ თუ შეძლეს სახიფათო მომენტის შექმნა, უმეტესად კი ისინი პასიური წინააღმდეგობით კმაყოფილდებოდნენ და ტემპით ძალიან ჩამორჩებოდნენ მეტოქეს.

მატჩი ტელევიზიით გადაიცა და ქართველმა სპორტის მოყვარულებმა საკუთარი თვალით ნახეს მისი მსვლელობა. ვგონებ, ისინი დამეთანხმებიან, რომ თამაში ერევნელებმა დამსახურებულად მოიგეს.

გავიხსენებ მხოლოდ მატჩის ცალკეულ ეპიზოდებს. არარატელებმა შუა ტაიმში შეძლეს ბურთის გატანა, მაგრამ რუდნევმა, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით არ ჩათვალა გოლი, რითაც ტრიბუნების უკმაყოფილება გამოიწვია. 43-ე წუთზე ზანაზანიანმა შორიდან დაარტყა საჯარიმო. ბურთი მოხვდა “დინამოს” ერთ-ერთ მცველს, მიუგორდა კაზარიანს და ამ უკანასკნელმა ზუსტად მოუნახა ბურთს თავშესაფარი _ 1:0.

მეორე ტაიმში “არარატის” უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა. “დინამო” ძნელი საცნობი იყო, იმდენად უსისტემოდ მოქმედებდა თავდასხმაში და ნახევარდაცვაში, მცველებს კი საგრძნობლად უჭირდათ მასპინძელთა მძლავრი იერიშების მოგერიება.

68-ე წუთზე კაზარიანმა კარგად გამოიყენა კაზანჩიანის გადაცემა, ხოლო 79-ე წუთზე ბონდარენკომ საბოლოოდ განამტკიცა მასპინძელთა გამარჯვება.

ს. მირუმიანი (ტელეფონით).
“ლელო”, 22 ივლისი, 1970 წ.